სამედიცინო გაზეთი

PER TRADITIONES AD FUTURUM

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის გამოცემა

გამოდის 1957 წლიდან

№ 9–10 (337–338) ნოემბერი–დეკემბერი, 2020 წელი

გილოცავთ ახალ 2021 წელს ყველას – სტუდენტებს, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს, მკვლევარებს, ჩვენს მრავალრიცხოვან გულშემატკივარსა და პარტნიორს, ვისაც წვლილი შეაქვს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წინსვლასა და განვითარებაში. უნივერსიტეტის წარმატება თითოეული ჩვენგანის მონაპოვარი და პირადი წარმატებაცაა, ჩვენი ერთობლივი, გუნდური მუშაობის შედეგია.

მინდა, გისურვოთ მშვიდობიანი და ჯანმრთელი მსოფლიო, განვითარება, წინსვლა, მიღწევები აკადემიურ, სამეცნიერო და პრაქტიკულ საქმიანობაში, დღეგრძელობა და კეთილდღეობა!

გასული წელი, არა მარტო ჩვენთვის და ჩვენი ქვეყნისთვის, მსოფლიოსთვის იყო ურთულესი წელიწადი. ეს იყო წელი, რომლის მთელმა სირთულემაც, გაზვიადებული არ იქნება თუ ვიტყვი, – ყველაზე მეტად სამედიცინო სფეროს წარმომადგენლების მხრებზე გადაიარა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, აკადემიური პერსონალითა და სტუდენტებით, პანდემიის დასაწყისშივე ჩაერთო დიდ ბრძოლაში და დღესაც ამ საბრძოლო სიტუაციაში ვართ. მიუხედავად სიტუაციის სიმძიმისა, შეუძლებელია, არ ვაღიაროთ ის თავდადება და პროფესიონალიზმი, რომელიც ამ რთული წლის განმავლობაში გამოავლინეს. ცალკე მინდა აღვნიშნო სტუდენტთა და რეზიდენტთა ღვაწლი, მათი გამბედავი და შემართებული თანადგომა, ექიმების მხარდამხარ ბრძოლა პაციენტების დახმარებისთვის, ქველმოქმედება.

გასულმა წელმა კიდევ ერთხელ დაადასტურა რომ ყველა ის მიღწევა, რომელიც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა მოიპოვა და რომლითაც ვამაყობთ, არ იყო შემთხვევითი. ჩვენ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და საუნივერსიტეტო კლინიკების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების თანამშრომელთა ერთობლიობა, ცხადია, სტუდენტებთან და რეზიდენტებთან ერთად; ამასთანავე, ჩვენი კურსდამთავრებულებით, რომლებიც საქართველოსა და უცხოეთში წარმატებით საქმიანობენ, – ძლიერი და წარმატებული გუნდი ვართ!

ისეთ რთულ დროშიც, როგორიც ახლა გვაქვს, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ლიდერის პოზიციაზე ვდგავართ და ჩვენზე ძალიან ბევრია დამოკიდებული საქართველოში სამედიცინო განათლების სრულყოფის თვალსაზრისით. ვიდრე აქამდე მოვიდოდით, ჩვენი ერთობლივი შრომის შედეგად მნიშვნელოვან წარმატებას მივაღწიეთ:

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში 2012 წლიდან მოქმედებს პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ვიწვევთ პროფესორებს ევროკავშირის ქვეყნებიდან, აშშ-დან, დიდი ბრიტანეთიდან, ისრაელიდან, თურქეთიდან და სხვა ქვეყნებიდან ლექციების, პრაქტიკული მეცადინეობების, საჩვენებელი ოპერაციების ჩასატარებლად, პაციენტთა კონსულტაციის გასაწევად. უკვე 550-ზე მეტი ასეთი ვიზიტი განხორციელდა.

ვამაყობთ, რომ 2002-2003 წლებში ჩვენმა უნივერსიტეტმა, პირველმა პოსტსაბჭოთა უნივერსიტეტთა შორის, გაიარა ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის ექსპერტთა გარე შეფასება.

2009-2011 წლებში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მონაწილეობდა ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის (AMEE) სამუშაო ჯგუფების შეხვედრებში (MEDINE-2). საყურადღებოა, რომ ევროკავშირის არაწევრი ქვეყნების უნივერსიტეტებიდან ამ ჯგუფში მხოლოდ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ანკარის უნივერსიტეტის პროფესორები იყვნენ ჩართულები.

დიდი აღიარებაა, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, 2019 წლის 23 მაისს, დაფუძნდა სამედიცინო განათლების საერთაშორისო ასოციაციის (AMEE) წარმომადგენლობა – საქართველოში AMEE-ის საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრი, რაც არა მხოლოდ თსსუ-ის, არამედ ქვეყნის წარმატებაა: საქართველო სამედიცინო განათლების საერთაშორისო ცენტრი გახდა, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯია ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის გზაზე. საქართველოში AMEE-ის საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრის ძირითადი მიზანია სამედიცინო განათლების თანამედროვე მეთოდოლოგიების გაზიარება, თემატური ტრენინგების ჩატარება რეგიონის უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალის, სამედიცინო განათლების ექსპერტების და სხვა დაინტერესებული სტრუქტურების წარმომადგენლებისთვის.

2018 წლის 10 სექტემბერს უნივერსიტეტმა წარმატებით და უპირობოდ გაიარა ავტორიზაცია.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს საკუთარი მძლავრი კლინიკური ბაზები აქვს (3 ჰოსპიტალი და 3 სტომატოლოგიური კლინიკა). ამ ბაზების გარდა, ჩვენი სასწავლო დეპარტამენტები სხვადასხვა კლინიკაშია განთავსებული. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო კენ ვოლკერის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკა, რომელიც ცოტა ხნის წინ გაიხსნა და რომელშიც განთავსდა თსსუ-ის სარეაბილიტაციო მიმართულების ყველა სტრუქტურული ერთეული, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის დეპარტამენტები.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა ამ პანდემიის პირობებშიც, განუწყვეტლივ მიმდინარეობს.

ეს თითოეული უნივერსიტეტელის მიღწევაა და სწორედ ეს არის საფუძველი იმისა, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლება ყოველწლიურად უფრო და უფრო მაღალ სტანდარტს აკმაყოფილებდეს.

ვსაუბრობ ამ წარმატებებზე და მინდა, კიდევ უფრო მეტი მოტივაცია და შემართება გისურვოთ ახალი მიღწევებისთვის!

სამწუხაროდ, პანდემიის მსხვერპლთა შორის ჩვენი თანამშრომლებიც არიან – პროფესორები: რევაზ კვერენჩხილაძე და ბორის კორსანტია. ჩვენ ქედს ვიხრით მათი ხსოვნის წინაშე. ეს ტრაგედია კიდევ ერთ მოტივაციად უნდა იქცეს, რომ ერთობლივად მეტი და მეტი გავაკეთოთ ჯანდაცვის სისტემის სრულყოფისთვის, მაღალკვალიფიციური ექიმების ჩამოყალიბებისთვის!

გასული წელი გამორჩეულად რთული იყო. ფაქტობრივად, კაცობრიობის ყველა სამოქმედო ასპარეზზე პანდემიამ დაისადგურა და შესაბამისად, ბევრი რამ შეფერხდა, გადაიდო. პანდემიამ მსოფლიო წესრიგი შეცვალა, რისი გავლენაც ჩვენ ყველამ ვიგრძენით საკუთარ ცხოვრებაზე. თუმცა ჩვენ შევძელით ახლებურად დაგვენახა, შეგვეფასებინა და დაგვეფასებინა ერთმანეთი ფორსმაჟორულ სიტუაციაში... გასულმა წელმა ნათლად აჩვენა, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ძალიან მნიშვნელოვან პოზიციაზე დგას. ის აერთიანებს სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს, კლინიკებში დაუღალავად მშრომელ კურსდამთავრებულებს და უცხოეთში მოღვაწე სახელგანთქმულ ექიმებს, თსსუ-ის ყველა კურსდამთავრებულს. ის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი მებრძოლია როგორც პანდემიასთან, ისე მედიცინის სფეროში აკადემიური აღმასვლის გზაზე!

კიდევ ერთხელ გილოცავთ და წარმატებებს გისურვებთ თქვენს, ქვეყნისთვის ესოდენ მნიშვნელოვან, საქმიანობაში!

პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის რექტორი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმართველობა ყოველთადად ილოცავთ ახალ 2021 წელს ყველა სტუდენტს, ჩვენს პროფესორ-მასწავლებლებს!
ჩვენ ერთად ყველა სიმოულეს ვაკუმკლავდებით!

თსსუ-ის სტუდენტები კვლავ COVID-19-ის წინააღმდეგ

ახალი კორონავირუსის პანდემიასთან ბრძოლაში, მისი გამოვლენის პირველი დღეებიდანვე, აქტიურად იყვნენ ჩართულნი თსსუ-ის სტუდენტები, რომლებსაც მნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდათ ვირუსის გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებში კლინიკებსა თუ საკარანტინო ზონებში. ამჯერად, გართულებული ეპიდემიოლოგიური ვითარების გათვალისწინებით, ქვეყნის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, დაიწყო მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამების მაღალსემესტრელთა გადამზადების პროცესი. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტრომ სპეციალურად შეიმუშავა გადამზადების სწრაფი ტრენინგ-კურსი – „Covid-19 ჰიბრიდული ფორმით (როგორც ონლაინ, ისე – არადისტანციურად)“. პროგრამა მოიცავს ახალი კორონავირუსის მართვის კუთხით სხვადასხვა მიმართულებას.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს მიერ უნივერსიტეტებისთვის შემუშავებული ჩარჩო-პროგრამის – „Covid-19-ის მართვის პრინციპები“ – ფარგლებში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები თავად უზრუნველყოფენ სავალდებულო შიდასაუნივერსიტეტო ტრენინგ-კურსის ჩატარებას მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის მაღალსემესტრელებისათვის, რომლებიც, გადამზადების შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, სამედიცინო პერსონალს ვირუსით გამოწვეული დაავადების მართვაში დაეხმარებიან.

აღსანიშნავია, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის არაერთი სტუდენტი, ამ ინიციატივის გაჟღერებამდე, უკვე ჩართული იყო კოვიდინფექციის საწინააღმდეგო სხვადასხვა აქტივობაში.

უჩინარ ვირუსთან ბრძოლაში სტუდენტების ჩართულობაზე გვესაუბრება თსსუ-ის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი **მიხეილ დიაკონიძე.**

– თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები ეპიდემიასთან ბრძოლაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი ახალი კორონავირუსის გამოვლენის და გავრცელების პირველი დღეებიდანვე. მისაბაძი და სამაგალითოა მათი აქტიურობა პანდემიის აფეთქების მეორე, კიდევ უფრო საშიშ და რთულ ეტაპზე...

– დიახ, პანდემიასთან ბრძოლის საწყის ეტაპზე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის 700-ზე მეტი სტუდენტი და რეზიდენტი სხვადასხვა კლინიკაში, ცხელ წერტილებში ებრძოდა საშიშ ვირუსს, შეიქმნა მოხალისე სტუდენტთა ბაზა, ბევრი საკუთარი ინიციატივით ეხმარებოდა სამედიცინო პერსონალს ან ჰუმანიტარულ ღონისძიებებში მონაწილეობით უმსუბუქებდა ადამიანებს მძიმე მდგომარეობას.

ამჯერად, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს ჩარჩო-პროგრამის -„ Covid-19-ის მართვის პრინციპები“ – ფარგლებში თსსუ-ში შემუშავდა სამდღიანი სილაბუსი. რომელიც მოიცავს მაღალსემესტრელების მომზადებას კოვიდინფექციის მართვისთვის. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები გაივლიან ტრენინგ-მოდულს „Covid-19-ის მონიტორინგის პრინციპები“. ტრენინგის გავლა სავალდებულოა მაღალსემეტრელებისთვის – ისინი ისედაც ფლობდნენ გარკვეულ ცოდნას ამ თვალსაზრისით, თუმცა აღნიშნული ტრენინგის გავლის შემდეგ მიიღებენ სრულყოფილ ინფორმაციას ახალი კორონავირუსის ვირუსოლოგიაზე, ეპიდემიოლოგიაზე, თერაპიულ მართვასა და მენეჯმენტზე, გაიღრმავებენ ცოდნას საერთაშორისო პროტოკოლებსა თუ გაიდლაინებზე დაყრდნობით, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ეს სტუდენტები ამ სამდღიანი მომზადებით პირდაპირ ჩაერთვებიან Covid-19-ის წინააღმდეგ ბრძოლაში კლინიკებში, ქოლცენტრებსა თუ საკარანტინო სივრცეში. სტუდენტთა აღნიშნული ბაზა, იმ სტუდენტების მონაცემები, რომლებსაც გავლილი ექნებათ გადამზადების სწრაფი კურსი, მიეწოდება განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს და სტუდენტების ჩართულობა მოხდება საჭიროებიდან გამომდინარე. ამის შემდეგ სტუდენტებს უკვე ღრმა ტრენინგები ჩაუტარდებათ შესაბამისი სპეციალისტების მიერ, ანუ მოხდება მათი მიზნობრივი გადამზადება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროცესში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან ერთად, ჩართულია ქვეყნის მასშტაბით ყველა ავტორიზებული უნივერსიტეტის მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის მაღალსემესტრელები.

– რომელი ფაკულტეტების სტუდენტები გადიან გადამზადების სწრაფ კურსს და ამჯერად რამდენი სტუდენტი გამოთქვამს მზადყოფნას გაერთიანდეს ამ სარეზერვო ბაზაში?

- ტრენინგის გავლა სავალდებულოა მედიცინისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. შემდეგ უკვე თავად გადაწყვეტენ თუ გაერთიანდებიან ამ სარეზერვო ბაზაში. ამ ეტაპზე, გადამზადების შემდეგ, 350-ზე მეტი სტუდენტი ჩაერთო პროგრამაში, რომელიც ჯანდაცვის რგოლების ადამიანური რესურსით მხარდაჭერას ითვალისწინებს, თუმცა, ამ პროგრამამდე, ჩვენი 400-ზე მეტი სტუდენტი და რეზიდენტი გახლდათ ჩართული პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში კოვიდკლინიკებში, კოვიდსასტუმროებში, ქოლცენტრებსა თუ სხვადასხვა ცხელ წერტილში.

– ბუნებრივია, ეს იქნება მხოლოდ დამხმარე რეზერვი სამედიცინო პერსონალისთვის, რომელიც მოზღვავებული კოვიდინფიცირების შემთხვევების დროს, მარტო ვერ გაუმკლავდება ვირუსთან ბრძოლას...

– რასაკვირველია, ისინი, გადამზადების შემდეგ, მიღებული ცოდნის და გამოცდილების გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში, ერთვებიან ამ პროცესში, როგორც პროფესიონალი ექიმების დამხმარე პერსონალი.

– როგორც ვიცით, მსურველი ბევრია და არა მხოლოდ მაღალსემესტრელებს შორის...

– დიახ, პირველი-მეორე სემესტრის სტუდენტებიც გამოხატავენ მზადყოფნას ჩაერთონ საშიშ ვირუსთან ბრძოლაში, მათი განწყობა და დამოკიდებულება მხოლოდ მისასალმებელია. რაც შეეხება მაღალსემესტრელებს, მათ კარგად აქვთ გაცნობიერებული, რომ არა უბრალოდ სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები, არამედ უმცროსი კოლეგები არიან იმ სამედიცინო პერსონალის, რომელიც ყოველდღიურად ვირუსთან ბრძოლის წინა ხაზზეა და ვალდებულად თვლიან თავს ჩვენი ქვეყნის და ჯანდაცვის სისტემისთვის ასეთ რთულ დროს ჩაერთონ ამ ბრძოლაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი კურსდამთავრებულები, რომლებიც სახელმწიფო და კერძო კომპანიების საკმაოდ მაღალ თანამდებობებზე მუშაობენ, ვირუსის გამოვლენის დღიდან გამოთქვამენ მზადყოფნას ჩაერთონ სამედიცინო საქმიანობის ნებისმიერ საფეხურზე, სადაც კი უნივერსიტეტი საჭიროდ ჩათვლის მათ დახმარებას.

– ნოემბერში პოლონეთის სოლიდარობის ფონდმა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან პარტნიორობით, პროექტის – „უსაფრთხო საქართველო Covid-19-ის პანდემიის დროს“ – ფარგლებში ჩაატარა ტრენინგები, რომელშიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი თსსუ-ის სტუდენტებიც. თუ შეიძლება, უფრო კონკრეტულად რომ გვითხრათ ამ პროექტის შესახებ...

–სოლიდარობის ფონდი PL, პარტნიორ ორგანიზაცია სოციალურ ჰაბთან ერთად, ახალგაზრდულ პროექტს ახორციელებდა 7 საუნივერსიტეტო ქალაქში: თბილისში, გორში, თელავში, ახალციხეში, ქუთაისში, ბათუმში, ზუგდიდში. პროექტი დაფინანსებული გახლდათ პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლონეთის განვითარების თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში. ტრენინგის თემები შეეხებოდა კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის დროს უსაფრთხოების ნორმების დაცვას, ახალგაზრდების როლს და ჩართულობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და სხვა აქტუალურ საკითხებს. აღინიშნა, რომ ახალგაზრდები შეიმუშავებენ თანამედროვე სოციალურ კამპანიებს, რომლის მიზანი უსაფრთხოების დაცვის ზომების და პერსონალური დაცვის საშუალებების პოპულარიზაციაა Covid-19-ის პანდემიის პირობებში. თსსუ-ის სტუდენტები მუდმივად გამოხატავენ მზადყოფნას ჩაერთონ მსგავს ღონისძიებებში და თავიანთი წვლილი შეიტანონ საშიში ვირუსის დამარცხებაში. ამ თანამშრომლობის ფარგლებში, საუბარია კონკრეტული საინფორმაციო კამპანიების განხორციელებაზე, თუმცა, როცა ახალი კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლაზე ვსაუბრობთ, უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი კარგა ხანია სრულად არის ჩართული ამ პროცესში მთელი ადამიანური რესურსით – პროფესორ-მასწავლებლებით, სტუდენტებით, რეზიდენტებით, როგორც მისი აკადემიური და ადმინისტრაციული, ისე სხვადასხვა კლინიკის სამედიცინო პერსონალით – ინფექციონისტებით, რეანიმატოლოგებით, თერაპევტებით, ექთნებით... ამ ყველაფრის გათვალისწინებით, მიუხედავად ვითარების სირთულისა, ვიმედოვნებთ, გამარჯვებულები გამოვალთ ამ ბრძოლიდან, მთავარია, გავუფრთხილდეთ ერთმანეთს, მოვუსმინოთ პროფესიონალებს და სრულად დავიცვათ რეკომენდაციები.

ესაუბრა ნატო ბოლქვაძე

„ერთად ვიბრძვით და ერთად ვამარცხებთ“...

ახალი კორონავირუსის პანდემიის გლობალურ გამოწვევას ღირსეულად პასუხობენ ახალგაზრდები – მსოფლიოს მსგავსად ჩვენს ქვეყანაშიც დიდია მათი როლი ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლაში. როგორც გაზაფხულზე, ამჯერადაც ვირუსთან ბრძოლის წინა ხაზზე დგანან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები, რეზიდენტები, ახალკურსდამთავრებულები...

მიუხედავად დატვირთული სამუშაო რეჟიმისა, რამდენიმე მათგანმა გამოძებნა დრო და სიამოვნებით გაგვიზიარა შთაბეჭდილება. ქოლცენტრსა თუ კოვიდსასტუმროებში საკუთარ საქმიანობაზე საუბრის კვალდაკვალ, ისინი სრულად აცნობიერებენ იმ დიდ პასუხისმგებლობას, რასაც ექიმის პროფესია აკისრებთ – ყოველი მათგანი საკუთარი სურვილით ჩაერთო ამ რთულ პროცესში სხვადასხვა ცხელ წერტილში და ეამაყება, რომ საკუთარი წვლილი შეაქვს პანდემიასთან ბრძოლაში... პაციენტებთან ერთად სტკივათ და განიცდიან, როგორც ერთი მათგანი აღნიშნავს: ერთად იბრძვიან და ერთად ამარცხებენ... პრობლემის დაძლევაც ახალგაზრდული ოპტიმიზმით ეიმედებათ...

პაციენტის სიყვარულით

მას შემდეგ, რაც, მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამისად, ამოქმედდა სტუდენტთა გადამზადების პროგრამა, თსსუ-ში გავიარე გადამზადების სწრაფი კურსი და პროგრამაში ჩავერთე. გარდა გულწრფელი სურვილისა, დავხმარებოდი კოვიდინფიცირებულებს, ჩავთვალე, რომ ეს გამოცდილება ძალიან სასარგებლო იქნებოდა ჩემთვის, როგორც მომავალი ექიმისთვის. ამჟამად ქოლცენტრში ვმუშაობ, სადაც დისტანციურად ვეხმარები პაციენტებს, რომ მიიღონ დროული სამედიცინო კონსულტაცია და პასუხი ნებისმიერ მათთვის საინტერესო შეკითხვაზე. საქმე ნამდვილად შრომატევადია, თუმცა ხალხსა და პაციენტებთან ურთიერთობის სიყვარული დაღლას ამსუბუქებს. უმთავრესი გზავნილი, რაც მინდა საზოგადოებას გადავცე, სულაც არ იქნება ახალი და, ალბათ, ბევრისთვის ბანალურად გაიჟღერებს: ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია, დავიცვათ სოციალური დისტანცია და შევინარჩუნოთ სიმშვიდე, ასე ბევრად უკეთ შევძლებთ პანდემიის მართვას და ინფექციის გავრცელების შეფერხებას.

ლალი ესებუა,
მედიცინის ფაკულტეტის
მეთერთმეტე
სემესტრის სტუდენტი

ვამაყობ, რომ მცირედი წვლილი შემაქვს პანდემიასთან ბრძოლაში

მეგობრებთან ერთად ჩართული ვარ ახალი კორონავირუსით დაინფიცირებული პაციენტების მკურნალობის პროცესში. ახლა თელავის ერთ-ერთ კოვიდსასტუმროში ექიმის თანაშემწის მოვალეობას ვასრულებ. კლინიკაში მუშაობის და პაციენტებთან ურთიერთობის გამოცდილების მიუხედავად, არსებული რეალობა მკვეთრად განსხვავდება სტანდარტულისგან.

დღის განმავლობაში ვიღებთ ახალ და ვწერთ გამოჯანმრთელებულ პაციენტებს, ვაკონტროლებთ მათ მდგომარეობას, სასტუმროსა და სამედიცინო პერსონალს ვუტარებთ ანტიგენზე დაფუძნებული სწრაფი ტესტით ვირუსზე გამოკვლევას; საჭიროების მიხედვით, პაციენტს ვგზავნით კლინიკაში ინსტრუმენტული და ლაბორატორიული კვლევებისთვის. მდგომარეობის დამძიმების შემთხვევაში იგი ექვემდებარება ჰოსპიტალიზაციას.

სახლის პირობებისგან განსხვავებით, კოვიდსასტუმროში პაციენტი იზოლირებულია გარშემომყოფთაგან, ახლობელი ადამიანების მზრუნველობამოკლებულს უჭირს მარტო გაუმკლავდეს პრობლემას. შესაბამისად, აქ განსაკუთრებული სიცხადით იგძნობა ექიმის როლი და უზარმაზარი პასუხისმგებლობა – მათ აწუხებთ არა მხოლოდ დაავადებით გამოწვეული ჩივილები, არამედ საზოგადოების დამოკიდებულებაც, რაც, სამწუხაროდ, ავლენს სოციალური სტიგმის პრობლემას – ისინი განიცდიან დისკრიმინაციას დაავადებასთან ასოცირების გამო, არადა, დღეს, თითქმის ყველა ჩვენგანის გარემოცვაში მოიძებნება ადამიანი, ვისაც ახალი კორონავირუსი დაუდასტურდა. ბევრმა უსაყვარლესი ადამიანიც დაკარგა.

სამწუხაროა, რომ ჯერჯერობით ვერ ვამარცხებთ საშიშ ვირუსს, თუმცა ვცდილობთ ყველაფერი გავაკეთოთ ამისთვის. ვფიქრობ, კრიზისის დასაძლევად, აუცილებელია ვიყოთ მაქსიმალურად ინფორმირებულები, გამოვიჩინოთ სოლიდარობა და დავეხმაროთ ერთმანეთს.

ვამაყობ, რომ, მეგობრებთან ერთად, მცირედი წვლილი შემაქვს პანდემიასთან ბრძოლაში.

ბრონისლავ ოდილავაძე,
მედიცინის ფაკულტეტის
მეთერთმეტე სემესტრის
სტუდენტი

ეს რთული დრო უნდა გადავიტანოთ

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლა ჩემთვის ძალიან დიდ პასუხისმგებლობას უკავშირდება. მარტო ის, რომ იყო სტუდენტი, საკმარისი არ არის, როცა საქმე მედიცინას ეხება. უმნიშვნელოვანესია მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და შენი არჩეული პროფესიისადმი ერთგულება. ასევე დაუღალავი შრომა ყოველდღიურად, რომ წუთი არ დაკარგო და ყველა სიახლე დაუყოვნებლივ გაიაზრო, მუდმივ მზადყოფნაში იყო სამედიცინო განათლების მიღების თვალსაზრისით. ჩემმა ამ დამოკიდებულებამ სტუდენტობის წლებშივე გადამაწყვეტინა და მიმიყვანა ალ. ალადაშვილის სახელობის კლინიკაში, სადაც ჩემთან ერთად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სხვა ბევრი სტუდენტიც მუშაობს.

პანდემიის გავრცელების შემდეგ, კლინიკაში კოვიდდადასტურებულ პაციენტთა რეანიმაციული

განყოფილება ამოქმედდა. შიში გულში არ გამივლია. დაუყოვნებლივ მივიღე გადაწყვეტილება და ჩავერთე პანდემიასთან ბრძოლაში, ცხადია, ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში.

ერთ დღეს აღმოჩნდა, რომ თავად ვიყავი დაინფიცირებული. მე დავამარცხე Covid-19. კარგად ვიცი, თუ რას განიცდის და რა მოპყრობას საჭიროებს დაინფიცირებული პაციენტი. ისიც ვიცი, რომ კოვიდინფიცირებულის მეთვალყურეობა განსაკუთრებულ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ დატვირთვას მოითხოვს და, რომ მორიგე მედდა, უფროს სამედიცინო პერსონალთან ერთად, მუდამ მზად უნდა იყოს მოსალოდნელი რთული სიტუაციის სამართავად.

სამაგიეროდ, რა ბედნიერებაა, როცა გამოჯანმრთელებული პაციენტი ტოვებს კლინიკას, ეს ხომ თითოეული თეთრად გათენებული ღამის საფასურია.

პანდემიის პირობებში კიდევ მეტად გავაცნობიერე რატომ უნდა იყო აღჭურვილი მაქსიმალური ცოდნით, რატომ უნდა ისწავლო ძალიან მძიმე პირობებშიც კი – მიღებული ცოდნა შენი მოვალეობის შესრულების უმთავრესი იარაღია.

სწავლების დისტანციურ რეჟიმს, ცხადია, მირჩევნია, ძველებურად, აუდიტორიებში შევხვდე ლექტორებს, მაგრამ ეს რთული დრო უნდა გადავიტანოთ. მთავარია, დავრჩეთ ბრძოლის ველზე. ვინც იბრძვის, ის იმარჯვებს!

თათია ხიზამბარელი,
მედიცინის ფაკულტეტის
მეექვსე სემესტრის სტუდენტი

ვიცი, რომ გავიმარჯვებთ

ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეპიდემიოლოგიური ვითარების გათვალისწინებით, თავად გამოვიჩინე ინიციატივა და, აგვისტოდან მოყოლებული, ვცდილობ დავეხმარო კოვიდინფიცირებულებს. ვმუშაობ წყალტუბოს ერთ-ერთ კოვიდსასტუმროში. მიუხედავად იმისა, რომ აქ მოთავსებულ პაციენტებს Covid-19-ის ვირუსით დაინფიცირების მსუბუქი ფორმა აღენიშნებათ და ჰოსპიტალიზაციას არ საჭიროებენ, თითოეულ მათგანს განსაკუთრებული ყურადღება და ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება – ვირუსის რთული ბუნებიდან გამომდინარე, შეუძლებელია განსაზღვრა როგორ განვითარდება დაავადება. კოვიდსასტუმროში მუშაობას თავისი სირთულეები ახლავს, კლინიკისგან განსხვავებით, იგი მოკლებულია სადიაგნოსტიკო საშუალებებს და ხშირად მხოლოდ საკუთარ ინტუიციას, გამოცდილებას და ცოდნას უნდა დაეყრდნო. არცთუ იშვიათია პაციენტის მდგომარეობის გართულებით გამოწვეული უძილო ღამეები, თუმცა, საბედნიეროდ, უფრო ხშირი – მისი გამომჯობინებით განცდილი დიდი სიხარული, რასაც არაფერი შეედრება, რადგან იცი, რომ ამაში შენი წვლილიცაა – სწორედ შენ შეძელი და ყველაფერი სწორად გააკეთე! მთავარი მოტივაცია ხომ კმაყოფილი პაციენტია! აქვე ვიტყვი, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ექიმის და პაციენტის კომუნიკაციას, დაავადების და მკურნალობის შესახებ პაციენტისთვის სწორად მიწოდებულ ინფორმაციას. ხშირად ფსიქოლოგის ფუნქციის შეთავსებაც გვიხდება – ვამშვიდებთ, ვამხნევებთ... ერთად ვიბრძვით და ერთად ვამარცხებთ!

სამი კვირაა სახლში არ ვყოფილვარ, ალბათ კარგა ხანს მომიწევს აქ ყოფნა, რაც ადვილი არ არის, მაგრამ ესაა ჩემი პროფესია, რომელიც ზუსტად ვიცი, რომ სწორად ავირჩიე! ვიცი, რომ გავიმარჯვებთ!

თამარ ყატაშვილი,
მეან-გინეკოლოგიის სპეციალობის
რეზიდენტი

მთავარი მოტივაცია – მადლიერი პაციენტი

აგვისტოდან ვარ ჩართული კოვიდინფიცირებულთა მკურნალობის პროცესში, ცხადია, ჩემი სურვილით, რადგან საკუთარ მოვალეობად მივიჩნევ დავეხმარო სამედიცინო პერსონალს, რომელიც, განსაკუთრებით ახლა, ვირუსის შემოტევის მეორე ტალღის პირობებში, რთულ ვითარებაში აღმოჩნდა.

კოვიდსასტუმროში მიხდება პაციენტების ყოველდღიური აღრიცხვა და მათი მდგომარეობის კონტროლი; საჭიროების შემთხვევაში, დროული და სწორი გადაწყვეტილების მიღება, რაც მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლოა ჩემთვის, მით უფრო, როცა ვხედავ, ადამიანები მტკივნეულად განიცდიან და ძნელად ეგუებიან დადასტურებულ კოვიდინფიცირების შემთხვევებს; არცთუ იშვიათად, სტრესულ მდგომარეობაში მყოფთათვის კი, ექიმის როლი და მნიშვნელობა განუზომელია – ისინი გენდობიან შენ, განდობენ ყველაზე ძვირფასს – ჯანმრთელობას და სიცოცხლეს და, თუკი ექიმობა შენი მოწოდებაა, შეუძლებელია ბედნიერებას არ განიჭებდეს პაციენტის მადლიერება.

უმცროსი ექიმი
თამთა მელუა,
მედიცინის ფაკულტეტის
კურსდამთავრებული

დიდ ბრძოლაში გასამარჯვებლად

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლის პარალელურად, ორ წელზე მეტია, სტაციონარულ სექტორში მედდად ვარ დასაქმებული და რეგულარულად, ფაქტობრივად, 24-საათიან რეჟიმში მიხდება მორიგეობა. სამედიცინო უნარ-ჩვევების დახვეწის პარალელურად, ვეცადე ძირფესვიანად შემესწავლა ყველა ის მანიპულაცია, რასაც ინტენსიური თერაპიის განყოფილების საშუალო სამედიცინო პერსონალი უნდა ფლობდეს.

ახლა, როდესაც პანდემიამ სრულიად შეცვალა მედიცინის მუშაკთა ჩვეული ცხოვრების რიტმი და რეჟიმი, თითოეული თანამშრომლის საქმიანობამ და ჩართულობამ განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა.

სამუშაო დღე კლინიკაში ადრიანად იწყება — ჯერ პაციენტებს გადავიბარებ, ვაკეთებ შემოვლას, აღვწერ ავადმყოფთა ობიექტურ მონაცემებს, ვიღებ ანალიზებს, ვისმენ პაციენტის ჩივილებს, შემდეგ, ექიმის დანიშნულების შესაბამისად, პაციენტს ვაწვდი მედიკამენტებს, გარდა ამისა, ვაწვდი საკვებს და ვეხმარები მის მიღებაში. საჭიროების შემთხვევაში, ვაწესრიგებ მწოლიარეთა ჰიგიენურ მდგომარეობას. რეგულარულად მიხდება პაციენტის სასიცოცხლო მაჩვენებლების მონიტორინგი და ცვლილებებს ვაცნობ ექიმს; შემდეგ, ექიმთან ერთად, ვახორციელებ რთულ სამედიცინო მანიპულაციებს. ხშირად პაციენტებს ფსიქოლოგიური დახმარებაც სჭირდებათ და ვცდილობ, არც ამ თვალსაზრისით დამრჩეს ვინმე ყურადღების მიღმა.

ივ. ბოკერიას სახელობის ჰოსპიტალის კარდიოლოგიის განყოფილებამ სრულიად შეიცვალა მუშაობის სპეციფიკა, აქ ამჟამად მხოლოდ კოვიდინფიცირებულ პაციენტებს ემსახურებიან. სივრცე დაყოფილია ,,ჭუჭყიან" და ,,სუფთა" ზონებად და, შესაბამისად, ერთი ზონიდან მეორეში გადასასვლელად, აუცილებელია მკაცრად დავიცვათ უსაფრთხოების ზომები...

...ასე გრძელდება მორიგეობიდან მორიგეობამდე და, სწავლასთან ერთად, ვცდილობ თავი გავართვა ამ მნიშვნელოვან საქმეს, უდიდეს პასუხისმგებლობასთან რომაა დაკავშირებული...

რთულია კოვიდკლინიკაში მუშაობა, განსაკუთრებული ფიზიკური ძალისხმევა და ნებისყოფის სიმტკიცეა საჭირო — მედდები ძალიან იღლებიან, მორიგეობის შემდეგ კი, არაიშვიათად, ქვედა კიდურების ტკივილები აღენიშნებათ, შესიებასთან ერთად... თანამედროვე ელექტრონული მოწყობილობის გათვლით, ერთი მათგანის მოძრაობა მორიგეობის პერიოდში, დაახლოებით, 15 კმ-ს შეადგენს, ეს კი საკუთარი ჯანმრთელობის რისკის ქვეშ დაყენების ფასად ხდება... სახლში დაბრუნების შემდეგაც რთულია სტუდენტის ცხოვრება, რადგან ზედმიწევნითაა საჭირო ოჯახის წევრებთან იზოლაციის წესების დაცვა. ცხადია, ცხოვრების ასეთი წესი თვეების განმავლობაში ადვილი ასატანი არაა, თუმცა, ჩემს არაერთ ახალგაზრდა კოლეგასა თუ თანაკურსელთან ერთად, ვაგრძელებ დღეს ასე საჭირო საქმიანობას, ,,უხილავი მტრის'' წინააღმდეგ ბრძოლა რომ ჰქვია და რაც მხოლოდ საკუთარი სურვილით ავირჩიე...

ანი ცირეკიძე,
მედიცინის ფაკულტეტის
მეშვიდე სემესტრის სტუდენტი

პროფესორი მარინა მამალაძე ICD-ის (INTERNATIONAL COLLEGE OF DENTISTS) ჩრდილო-აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის სექციის ვიცე-რეგენტად აირჩიეს

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოდონტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საქართველოს სტომატოლოგთა პროფესიული ასოციაციის პრეზიდენტი, პროფესორი მარინა მამალაძე, 2020 წლის 13 დეკემბერს, მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი და ტრადიციული პროფესიული ასოციაციის, ICD-ის (International College of Dentists) ჩრდილო-აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის სექციის ვიცე-რეგენტად აირჩიეს. ყველა წარმატებას თავისი საფუძველი აქვს, გამონაკლისი არც ეს გახლავთ. პროფესორ მარინა მამალაძის ურთიერთობა ICD-სთან უკვე 7 წელზე მეტს ითვლის. ICD-ის ევროპული სექციის მაშინდელი ხელმძღვანელი, პროფესორი ივარ ჰოფი (დანია) აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან ღირსეულ კანდიდატებს ეძებდა. კავკასიის რეგიონიდან არჩევანი მარინა მამალაძეზე შეაჩერეს და 2013 წელს მას სტომატოლოგიის საერთაშორისო კოლეჯის წევრობა შესთავაზეს. ქალბატონი მარინასთვის ეს წინადადება საკმაოდ საინტერესო გახლდათ. ძალიან ავტორიტეტული და მრავალი მნიშვნელოვანი წამოწყების ავტორი, ICD, შეიძლებოდა საქართველოში სტომატოლოგიის განვითარების კიდევ ერთი მოტივატორი გამხდარიყო და, რაც მთავარია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორს განსაკუთრებულად აინტერესებდა ამ ასოციაციის მიერ საგანმანათლებლო პროგრამების მიმართულებით განხორციელებული აქტივობები.

სტომატოლოგთა საერთაშორისო კოლეჯი (ICD) მსოფლიოში უძველესი პროფესიული ასოციაციაა. ის 1920 წელს ამერიკელმა სტომატოლოგმა, დოქტორ ლუის ოტოფმა, დააარსა. აქვს ამერიკის, ევროპის და აზიის სექციები. ჩვენ ევროპის სექციაში ვერთიანდებით, – აღნიშნა ქალბატონმა მარინამ, – ეს პრესტიჟული გაერთიანება, უპირველესად, იმ ღირებულებებით არის მნიშვნელოვანი, რომლებიც ჩემთვის, როგორც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორისთვის, ყველაზე ახლობელია. ეს ღირებულებები თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისთვის უპირობოდ პრიორიტეტულია: ლიდერობა, აღიარება, ჰუმანიზმი, საერთაშორისო ურთიერთობების ხელშეწყობა. დღეს შემიძლია ვთქვა, რომ ამ ყველაფრის გამო ჩემი გული და სული ამ ასოციაციას ეკუთვნის.

– ქალბატონო მარინა, გაიხსენეთ ის დღე, როცა პირველად გახდით ICD-ის წევრი.

– მას შემდეგ, რაც 2013 წელს ევროპის სექციის საბჭოზე განიხილეს ჩემი კანდიდატურა და დადებითი გადაწყვეტილება მიიღეს, კოპენჰაგენში, კონგრესზე საზეიმოდ წარმადგინეს. ეს არაჩვეულებრივად ლამაზი საღამო იყო, არასდროს დამავიწყდება როგორ შეხვდა აუდიტორია ახალ წევრებს. მათ მოისმინეს კანდიდატების ბიოგრაფიები, გაეცნენ მათ რეკომენდატორებს და პატივისცემით, ფეხზე წამომდგარნი, შეგვეგებნენ. ჩვენ მომზადებული გვქონდა მომავალ გეგმებზე რეზიუმე, რომელიც გააცნეს აუდიტორიას. ზოგადად, ICD-ის კონგრესების სამეცნიერო მუშაობის ყოველი დღე ყოველთვის დატვირთული და საინტერესოა. ვერ ნახავთ ერთ წევრსაც კი, ვინც ყურადღებით არ ისმენს მოხსენებებს ან ადრე ტოვებს დარბაზს. ICD-ის კონგრესი ყოველწლიურად ტარდება და ყოველ წელს ახალი მასპინძელი ქვეყანა ჰყავს.

ჩემთვის ეს ასოციაცია ძალიან ახლობელი გახდა. მას ბევრი ისეთი მიზანი აქვს, რომელიც გულგრილს ვერ დაგტოვებს: ჰუმანიტარული აქტივობა, განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის ხელმოკლე ფენებისთვის სტომატოლოგიური სერვისების შეთავაზება და სხვა. ICD-ის წევრები, მოხალისენი, ხშირად აწყობენ აფრიკის, აზიის, ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის განვითარებად ქვეყნებში პროფილაქტიკურ და საგანმანათლებლო ტურებს. ამ ქვეყნების სამედიცინო და, მათ შორის, სტომატოლოგიურ სექტორში, ბევრი გადაუჭრელი პრობლემაა, რის შესახებ მსჯელობა ყოველწლიურ შეხვედრაზე ხდება.

პრობლემები ჩვენი ქვეყნის რეგიონებშიც გვაქვს. ჩვენი ზრუნვის საგანი უნდა გახდეს სტომატოლოგიური განათლების, დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პრევენციის გაუმჯობესება და შემდგომი განვითარება. ეს პრინციპები გახდა ჩვენ მიერ საქართველოს რეგიონებში განხორციელებული პროექტის – „სტომატოლოგია მაღალი სტანდარტებით“ – მთავარი მოტივატორი. 1 წლის მანძილზე საქართველოს ყველა რეგიონის სტომატოლოგებსა და სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებს თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, თელავსა და გორში, ოდონტოლოგიის ძირითად მიმართულებებში, უფასოდ შევთავაზეთ ლექციებსა და მასტერ-კლასებზე დასწრება. ამ აქტივობისას სტომატოლოგებს საშუალება მიეცათ, კლინიკებში ჩართულიყვნენ პაციენტთა მკურნალობის პროცესში, დარწმუნებულიყვნენ თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ახალი მიდგომების შესაძლებლობებში და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მოქმედი უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამებში მონაწილეობით აემაღლებინათ სტომატოლოგიაში აგრერიგად საჭირო პრაქტიკული და კლინიკური უნარები.





– თქვენ საუბრობთ გუნდურ მუშაობაზე... ICD დღეს რამდენ წევრს ითვლის საქართველოდან?

– ჩემთვის, საერთოდ, გუნდური მუშაობა ძალიან მნიშვნელოვანია. მას მერე, რაც ICD-ის პირველი წევრი გავხდი საქართველოდან, მუდამ ვფიქრობდი, რომ აუცილებელი იყო, ჩვენი რიცხვი გაზრდილიყო. ეს სჭირდება საქართველოში სტომატოლოგიის განვითარებას. ჯერ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აპოლონ ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკის მთავარი ექიმის, თსსუ-ის ასოცირებული პროფესორის, ლია სანოძის კანდიდატურა შევთავაზე საერთაშორისო სტომატოლოგიური კოლეჯის საბჭოს, შემდეგ, ასევე, ჩვენი უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის – ნათია ნიჟარაძის; სულ მალე წევრებად ექიმ-სტომატოლოგ თამარ ჟღენტს და თსუ-ის სტომატოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, პროფესორ ვლადიმერ მარგველაშვილს, მივიღებთ. ICD-ის კავკასიის რეგიონიდან მეტი დელეგატის ჩართვის მოლოდინი აქვს. სწორედ ამ მიმართულებით მომიწევს მომავალში აქტივობის გაძლიერება.

– თქვენმა სიტყვებმა ერთი რამ მაფიქრებინა: ხომ არ შეიძლება ერთ დღეს ჩვენც გავხდეთ სტომატოლოგთა საერთაშორისო კოლეჯის კონგრესის მასპინძლები?

– თქვენ ძალიან მნიშვნელოვან თემას შეეხეთ. ცხადია, ეს ოცნება მაქვს. გარდა იმისა, რომ სტომატოლოგიის განვითარებისთვის ეს ნამდვილად სერიოზული საფუძველი იქნება, საქართველოს გაეცნობა არაერთი ქვეყნის წარმომადგენელი. კონგრესები ასეთი სტრუქტურისაა: ერთი დღე რეგიონების პრობლემის განხილვას ეძღვნება, შემდეგი – სამეცნიერო კონფერენციას, შემდეგ – ახალი წევრების საზეიმოდ მიღებას და ბოლოს, იმ ქვეყნის, იმ ქალაქის, იმ მხარის გაცნობას, სადაც კონგრესი ტარდება. ჩვენ ბევრი რამ გვაქვს ისეთი, რასაც სიამოვნებით წარვუდგენთ საერთაშორისო სტუმრებს. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს ძალიან ძვირადღირებული ღონისძიებაა და კონგრესის ორგანიზება მარტივი არ იქნება.

– წელს თქვენ აგირჩიეს ICD-ის ჩრდილო-აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის სექციის ვიცე-რეგენტად. გასაგებია, რომ საბჭომ განიხილა და მოიწონა თქვენი, როგორც პროფესიონალის CV, მაგრამ, რომ არა სტომატოლოგიის გარკვეული მიღწევები საქართველოში, ეს შეუძლებელი იქნებოდა. რას იტყვით, რა დონეზეა განვითარებული სტომატოლოგია საქართველოში?

– თამამად ვიტყვი, რომ სტომატოლოგია საქართველოში ელვისებური ნახტომით განვითარდა. ეს, ამ დარგში მოღვაწე ბევრი პროგრესულად მოაზროვნე, განათლებული და ენერგიული ლიდერის დამსახურებაა, რომელიც თავად მუდმივად ვითარდება და, თანამოაზრეებთან ერთად, სტომატოლოგიური საზოგადოების სტიმულირებაც შეუძლია. სწორედ ამ საერთო ძალისხმევით საქართველოში სტომატოლოგია ევროპულ და ამერიკულ სტანდარტებსაც გაუტოლდა. ჩვენც ბევრი გვაქვს სათქმელი და საჩვენებელი, მაგრამ პრობლემებიც, გადასაჭრელი საკითხებიც და გასაუმჯობესებელი მიმართულებებიც არ გვაკლია. თუ დარგში განათლების განვითარებისა და პროფესიული სრულყოფის საკითხები მოგვარდება, მაშინ შეიქმნება სტომატოლოგიური სერვისების მიწოდების ერთიანი ეროვნული სტანდარტი და ის მკაფიო განსხვავება, რაც დღეს დედაქალაქისა და რეგიონის კლინიკებს შორის, ან, თუნდაც, დედაქალაქის სხვადასხვა კლინიკებს შორის არსებობს, ნელ-ნელა ნაკლებად შესამჩნევი გახდება. საბოლოო ჯამში, საქმე კვლავ განათლებამდე მიდის, რაზეც მუდმივად ვზრუნავთ.

თქვენ იცით, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ევროპის სამედიცინო განათლების საერთაშორისო ასოციაციის (AMEE) წევრია. 2019 წლის მაისში გაიხსნა ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრი. ამდენად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი და, რასაკვირველია, საქართველო, წარმოადგენს სამედიცინო განათლების ევროპისა და სამხრეთ კავკასიის ჰაბს. სხვათაშორის, ასეთი ცენტრი მსოფლიოში სულ სამია.

– რაც შეეხება ვიცე-რეგენტობას, ეს კიდევ ერთი სერიოზული გამოწვევაა თქვენთვის. როგორ შეაფასებთ ამ გამოწვევას?

– მოხდა ისე, რომ ICD-ის ევროპული სექციის ხელმძღვანელმა, მაურო ლაბანკამ და ჩრდილო-აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნების რეგენტმა, დოქტორმა სერგეი რადლინსკიმ, ვიცე-რეგენტის პოზიციაზე დამასახელეს. პასუხისმგებლობა დიდია... აზერბაიჯანის და სომხეთის დელეგატთა ერთ გუნდად გაერთიანება მარტივი არ იქნება. ჩემი მიზანია, ის, რაც კონფლიქტმა დაყო და გამიჯნა, სტომატოლოგიამ, როგორც მეცნიერებამ და ხელოვნებამ, გაერთიანებულად წარადგინოს მსოფლიო კოლეგების წინაშე. მინდა ყველა ნოვაცია და ტექნოლოგია თანაბრად მისაწვდომი გახდეს ამიერკავკასიის ქვეყნებისთვის, რეგიონებისთვის, დაინტერესებული სპეციალისტებისთვის.

– ქალბატონო მარინა, თქვენი ცხოვრება, ფაქტობრივად, განუყოფელია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისგან, მათთვის, ვინც არ გიცნობთ, მინდა ვთქვა, რომ მას მერე, რაც 16 წლის ასაკში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდით, არცერთი წელი არ გაგიტარებიათ მისგან დაშორებით, თუ არ ჩავთვლით დიპლომისშემდგომ განათლებას. აქ გახდით ასისტენტი, დოცენტი, პროფესორი და კათედრის გამგე... როგორ შეაფასებთ თქვენს რჩეულ უნივერსიტეტს?

– ნამდვილად მერგო პატივი, აქ მესწავლა და მემუშავა. ვამაყობ, რომ აპოლონ ურუშაძის სახელობის კლინიკაში ავიდგი ფეხი და დღემდე ჩემი დეპარტამენტი აქ, თბილისის ისტორიულად მნიშვნელოვან შენობაშია. ჩემს თვალწინ ბევრმა წელმა გაირბინა – შრომით დატვირთულმა, ნაყოფიერმა. ვარ მოწმე, როგორ ვითარდება ყოველწლიურად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი. სწორედ ამ განვითარებაშია მისი მთავარი ღირებულება. ამისი შედეგია, რომ დღეს, მსოფლიოს 72 ქვეყნის ახალგაზრდა ინტერესდება აქ სწავლით. ჩვენი უნივერსიტეტი ჭეშმარიტად საერთაშორისოა, ფაქტობრივად, ყოველი მესამე საერთაშორისო სტუდენტია. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან ერთად მეიმედება ხვალინდელი დღე, როგორც პროფესიონალს, მასწავლებელს და მოქალაქეს. ეს თავად მეტყველებს იმაზე, რას ვფიქრობ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტზე.

– მე შემიძლია გითხრათ, რას ფიქრობენ თქვენზე თქვენი სტუდენტები და კოლეგები – ყველაზე საიმედო და დასაყრდენი, ძალიან მკაცრი და სამართლიანი, მომთხოვნი და თავდადებული, – ასე გახასიათებენ...

– ცხოვრების გზაზე უკან რომ მოვიხედავ, ბედნიერ ადამიანად მივიჩნევ თავს. ბევრი აღზრდილის სახე მიღიმის. მეამაყება, რომ საქართველოს სტომატოლოგიის ისტორიაში ყველაზე მეტი მოწაფე და მიმდევარი მყავს. საერთოდ, ბევრჯერ მითქვამს და ახლაც აღვნიშნავ – გუნდური მუშაობის მომხრე ვარ, მინდა ჩემს არსებობას კოლეგები გრძნობდნენ და გასაჭირში ჩემი იმედი ჰქონდეთ. ყველა ჩემს წარმატებას ჩემი დეპარტამენტის თანამშრომლებს, როგორც სიყვარულით ვეძახი ხოლმე, ჩემი დეპარტამენტის გოგო-ბიჭებს, ჩემი დიდი მცდელობისა და შრომის ნაყოფს, სტომატოლოგიის კლინიკა და სასწავლო-კვლევით ცენტრ – **„უნიდენტს“** და ჩემს სტუდენტებს ვუძღვნი. მსურს, ჩვენს უმშვენიერეს საქართველოში ბედნიერად იცხოვრონ და წარმატებით აკეთონ საქმე. მე კი, ვიამაყო იმით, რომ ოდესღაც მათი მასწავლებელი ვიყავი.

ესაუბრა ლელა მუკბანიანი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ემერიტუსს, გურამ კიკნაძეს, 80 წელი შეუსრულდა

ქართველი საზოგადოებისთვის, კერძოდ, მედიცინის სფეროს წარმომადგენლებისთვის, კარგადაა ცნობილი ბატონი გურამის ფასდაუდებელი ღვაწლის შესახებ, როგორც სამედიცინო უნივერსიტეტში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

გურამ კიკნაძის მოღვაწეობა გასული ნახევარი საუკუნის განმავლობაში მოიცავს პრაქტიკულ, პედაგოგიურ და სამეცნიერო, აგრეთვე, კანონშემოქმედებით და საგანმანათლებლო საქმიანობას კლინიკური მედიცინის, მათ შორის, საოჯახო მედიცინის, სამედიცინო ტერმინოლოგიის, ჯანდაცვის სამართლის, ადამიანის უფლებების, ბიოსამედიცინო ეთიკისა და ბიოეთიკის სფეროებში.

გურამ კიკნაძემ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი 1965 წელს დაამთავრა და აქვე, 1970 წლიდან შეუდგა პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას — იყო ასისტენტი, დოცენტი, პროფესორი.

2001 წელს მან საფუძველი ჩაუყარა და დააარსა პირველი აკადემიური სტრუქტურა საოჯახო მედიცინის სფეროში — „საოჯახო მედიცინის ფაკულტეტი“ და „საოჯახო მედიცინის კათედრა“ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო აკადემიაში, იყო ფაკულტეტის დეკანი 2001-2006 წლებში.

2006 წლიდან, ზემოხსენებული აკადემიის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან ინტეგრაციის შემდეგ, პროფესორი გურამ კიკნაძე, უკვე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარგლებში, აყალიბებს საოჯახო მედიცინის პირველ დეპარტამენტს და საოჯახო მედიცინის ცენტრს, არის აღნიშნული ცენტრის დირექტორი და საოჯახო მედიცინის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, ხოლო 2009 წლიდან 2015 წლამდე — ამავე დეპარტამენტის ხელმძღვანელი და სრული პროფესორი.

2015 წლიდან ბატონი გურამი გახლავთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ემერიტუსი და აგრძელებს პედაგოგიურ საქმიანობას საოჯახო მედიცინის დეპარტამენტში – ასწავლის სტუდენტებს და აგრძელებს მუშაობას დიპლომისშემდგომი განათლების დონეზე, სპეციალობაში – „საოჯახო მედიცინა“, რეზიდენტებთან და სპეციალობის მაძიებლებთან.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში საქმიანობის პერიოდში, მისი ხელმძღვანელობით და მონაწილეობით, მომზადებულია სასწავლო კურსები, სილაბუსები და სასწავლო მასალა მედიცინის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტების სხვადასხვა კურსისთვის, რომლებიც მოიცავს საქართველოში უმაღლესი სამედიცინო განათლებისთვის სრულიად ახალი საკითხების და დისციპლინების სწავლებას — „პირველადი ჯანდაცვა“, „საოჯახო მედიცინა“, „ბიოფსიქოსოციალური მიდგომა მედიცინაში“, „კომუნიკაციის უნარ-ჩვევები“, „პროფესიონალიზმი“.

მისივე ხელმძღვანელობით, საფუძველი ჩაეყარა სრულვადიანი სარეზიდენტო პროგრამის მომზადებას სპეციალობაში — „საოჯახო მედიცინა“. პირველი რეზიდენტების მზადება აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაიწყო 2003 წლიდან და დღემდე წარმოადგენს ოჯახის ექიმთა მზადების ძირითად კერას ქვეყანაში.

როგორც დიპლომამდელი, ისე დიპლომისშემდგომი მზადების პროგრამების განვითარებისას, ემერიტუს გურამ კიკნაძის თაოსნობით, დაიწყო საერთაშორისო



თანამშრომლობა ევროპისა და მსოფლიო მასშტაბით აღიარებულ ექსპერტებთან და პროფესიონალებთან „საოჯახო მედიცინის/ზოგადი პრაქტიკის ეროვნული კოლეჯების, აკადემიებისა და ასოციაციების მსოფლიო ორგანიზაციიდან“(WONCA), „ოჯახის ექიმთა/ზოგადი პრაქტიკის ექიმთა მასწავლებლების ევროპული აკადემიიდან“ (EURACT), „ამერიკის ოჯახის ექიმთა აკადემიიდან“ (AAFP). ის არის „ოჯახის ექიმთა/ზოგადი პრაქტიკის ექიმთა მასწავლებლების ევროპული აკადემიის“ (EURACT) წევრი 2005 წლიდან, მისივე ინიციატივით, ამავე წლიდან საქართველო გაერთიანდა აღნიშნულ აკადემიაში.

2003 წელს, გურამ კიკნაძის თაოსნობით და ხელმძღვანელობით, დაარსდა საქართველოს ოჯახის ექიმთა ასოციაცია. იგი დღემდე ამ ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარეა. ასოციაციის მიერ მომზადებული, განახლებული და რეცენზირებულია რამდენიმე ათეული კლინიკური პრაქტიკის ეროვნული გაიდლაინი და პროტოკოლი. ასოციაციის მიერ მომზადებული და განხორციელებული უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამების ფარგლებში, მომზადებულია პირველადი ჯანდაცვის სფეროში მომუშავე ათასზე მეტი სპეციალისტი.

უშუალოდ კლინიკურ და სამედიცინო დისციპლინებში ზემოხსენებული საქმიანობის გარდა, ემერიტუს გურამ კიკნაძის, ინტერესების სფერო და მოღვაწეობა მოიცავს ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობას, პაციენტის უფლებებს, ბიოსამედიცინო ეთიკას და ბიოეთიკას.

გურამ კიკნაძის სახელთანაა დაკავშირებული ჩვენს ქვეყანაში ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის ჩამოყალიბება და განვითარება. კერძოდ, მისი ხელმძღვანელობით მომზადდა ფუნდამენტური მნიშვნელობის კანონები „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, „პაციენტის უფლებების შესახებ“, „საექიმო საქმიანობის შესახებ“, აგრეთვე, სპეციფიკური კანონები „ადამიანის ორგანოების გადანერგვის შესახებ”, „ბავშვთა ხელოვნური საკვების კონტროლირებადი მოხმარების და ბავშვთა ბუნებრივი კვების ხელშეწყობის შესახებ“, „ადამიანზე ჩატარებული ბიოსამედიცინო კვლევის შესახებ“, „რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და რეპროდუქციული უფლებების შესახებ“.

მისივე ინიციატივით და უშუალოდ მონაწილეობით, განხორციელდა ყველა საჭირო სამუშაო ევროპის საბჭოს სამართლებრივი ინსტრუმენტების ხელმოწერისა და რატიფიკაციისათვის ბიომედიცინისა და ადამიანის უფლებების სფეროში – „კონვენცია ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ“ და მისი პროტოკოლები „ადამიანის კლონირების აკრძალვის შესახებ“, „ადამიანის ორგანოთა ტრანსპლანტაციის შესახებ“, „ბიოსამედიცინო კვლევის შესახებ“.

განსაკუთრებით აღნიშვნას საჭიროებს გურამ კიკნაძის საქმიანობა საქართველოში ექიმთა პროფესიული საქმიანობის ეთიკური რეგულაციის სფეროში. მისივე ხელმძღვანელობით და მონაწილეობით მომზადდა მნიშვნელოვანი დოკუმენტები — „საქართველოს ექიმის ეთიკის კოდექსი“ (2003), „ექიმის პროფესიული საქმიანობის წესები“ (2011).

2000 წელს ემერიტუს გურამ კიკნაძის ინიციატივით (მათ შორის, საკანონმდებლო ინიციატივით), ჩამოყალიბდა საქართველოს ბიოეთიკის ეროვნული საბჭო — საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საკონსულტაციო ორგანო. იგი დღემდე აღნიშნული საბჭოს უცვლელი წევრია. მისი უშუალო მონაწილეობით, საბჭოს მიერ მომზადებულია 100-ზე მეტი რეკომენდაცია ბიოსამედიცინო ეთიკის და ბიომედიცინის სფეროში ადამიანის უფლებების ზოგად და სპეციფიკურ საკითხებზე.

2000-იანი წლების დასაწყისში ემერიტუსი გურამ კიკნაძე ხელმძღვანელობდა სამუშაო ჯგუფს, რომელმაც მოამზადა უწყვეტი სამედიცინო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების კონცეფცია, რომლის საფუძველზე, საქართველოში დაიგეგმა შესაბამისი კანონმდებლობა და ჩამოყალიბდა უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემა.

2008 წელს გურამ კიკნაძის მიერ მომზადდა კლინიკური პრაქტიკის გაიდლაინების და პროტოკოლების შემუშავებისა და დანერგვის კონცეფციური ჩარჩო და რეკომენდაციები ჩვენი ქვეყნისთვის.

ემერიტუს გურამ კიკნაძის მიერ ზემოხსენებული საქმიანობისას გამოქვეყნებულია 10 მონოგრაფია და სახელმძღვანელო, რამდენიმე ათეული სამეცნიერო, პედაგოგიური და საგანმანათლებლო პუბლიკაცია, მომზადებული და რედაქტირებულია 25 კლინიკური პრაქტიკის გაიდლაინი და პროტოკოლი. აღნიშნულ ნაშრომებს განეკუთვნება ბოლო წლებში გამოქვეყნებული პუბლიკაციები კომუნიკაციის საკითხებზე, რომლის სამიზნედ, ფაქტობრივად, ყველა სპეციალობის ექიმი და მედიკოსი სტუდენტი მოიაზრება.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში პროფესორ გურამ კიკნაძის დაუღალავი შრომა „სამედიცინო ტერმინთა და ეპონიმთა ორთოგრაფიული ლექსიკონის“ შესაქმნელად. აღნიშნული სამუშაო დაიწყო 1994 წელს და დასრულდება წელს.

ალბათ, რთულია ემერიტუს გურამ კიკნაძის მიერ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ქვეყნისთვის გაწეული სამსახურის მეტ-ნაკლებად სრულად წარმოჩენა, თუმცა, ვფიქრობთ, აღნიშნულიც საკმარისია, რომ დავაფასოთ მისი დაუღალავი და კეთილსინდისიერი შრომა, ენთუზიაზმი, მისი კეთილგანწყობა და მხარდაჭერა კოლეგებისა და სტუდენტებისადმი და, რაც მთავარია, ის წარუშლელი შედეგები მისი საქმიანობისა, რომელიც თითოეული ჩვენგანისთვის, ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქისათვის არის ხელშესახები.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და აკადემიური პერსონალი ულოცავს ბატონ გურამს საიუბილეო თარიღს და უსურვებს დღეგრძელობას.

ქართველ მეცნიერთა მონოგრაფია გერმანიაში გამოიცა



გერმანიაში გამოიცა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორის ყარამან ფაღავას, აკადემიკოს თენგიზ ურუშაძისა და გეოლოგიის დოქტორის ელინა ბაქრაძის მონოგრაფია „Impact of Heavy Metals in Soil on Health of Children and Adolescents (Example of Georgia). ნაშრომი შესრულდა მედიცინის (პედიატრიის), ეკოლოგიისა და ნიადაგთმცოდნეობის გადაკვეთაზე. გაანალიზებული იქნა მასალები სხვადასხვა ნიადაგში მძიმე მეტალობის – Fe, Mn, Pb, Zn, Cu შემცველობის შესახებ, ასევე, ამავე რეგიონებში ზოგიერთი ე.წ. ეკოლოგიური დაავადების სიხშირეზე. დადგინდა მკვეთრად გამოხატული დადებითი კორელაცია ნიადაგში ტყვიისა და მანგანუმის სიხშირის მატებასა და ახალშობილებში თანდაყოლილი ანომალიების ინციდენტურობას შორის. ამრიგად, დადასტურდა ჰიპოთეზა ნიადაგის მძიმე მეტალებით გაბინძურებასა და ეკოპათოლოგიას შორის. ნაჩვენები იქნა ცნობილი ბერძენი ფილოსოფოსის პროტაგორას დებულების – Homo est mensura omnium rerum (ადამიანია ყველაფრის საზომი) მართებულობა ეკოლოგიურ მედიცინაშიც გამოსაყენებლად, კერძოდ, გარემოს პათოგენობის ხარისხის განსაზღვრისთვის.

მონოგრაფია ძალიან მნიშვნელოვან დასკვნებს სთავაზობს დაინტერესებულ საზოგადოებას და, ამდენად, აქტუალური და უაღრესად საჭირო გახლავთ.

გურამ ცაგარეიშვილის ხსოვნას

მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 86 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ღვაწლმოსილი თანამშრომელი, ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გურამ ცაგარეიშვილი.

გურამ ცაგარეიშვილის დიდმა შრომისმოყვარეობამ და არაორდინარულმა აზროვნებამ იმთავითვე მიიქცია სამედიცინო საზოგადოების ყურადღება. ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში ხანგრძლივი და ნაყოფიერი საქმიანობის პერიოდში მისი ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით ჩატარებული ტექნოლოგიური, ბიოფარმაცევტული, ფარმაკოკინეტიკური და ფარმაკოლოგიური კვლევების შედეგად გაფართოვდა და რეალურად განხორციელდა ბენტონიტური თიხის გამოყენება სამედიცინო და ვეტერინარული პრეპარატების და კოსმეტიკური საშუალებების შესაქმნელად და წარმოებაში დასანერგად. მრავალწლიანი მეცნიერეული კვლევის შედეგად შექმნილია 25-მდე ორიგინალური სამკურნალო საშუალება, მის მიერ შემოთავაზებული პრეპარატები: „ბენტობოლი“, „ბავშვთა მოსაყრელი ფხვნილი“, „ლევასკანი“, „ულკოსანი“, „ჰიპოასკანე“, და სხვა, რომლებიც გამოირჩევიან ძლიერი ფარმაკოლოგიური ეფექტურობით, მაღალი ხარისხით და უსაფრთხოებით.

1963-72 წლებში, სამეცნიერო საქმიანობის პარალელურად, ბატონი გურამი გახლდათ ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის სწავლული მდივანი, დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. 1972 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა ფარმაცევტული პროდუქტის, ბიოლოგიურად აქტიური დანამატის და კოსმეტოლოგიური საშუალებების ფორმათა ტექნოლოგიის დეპარტამენტს.

მომავალ კოლეგებს – სტუდენტ-ახალგაზრდობას, უშურველად გადასცემდა ცოდნასა და გამოცდილებას. ამის დასტურია მისი ხელმძღვანელობით დაცული 10-ზე მეტი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას: ლექციებს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში (ამჟამად უნივერსიტეტი), ჯერ როგორც მოწვეული ლექტორი, შემდეგ კი – კათედრის პროფესორი. 1993-1998 წლებში აირჩიეს ფარმაცევტული საქმიანობის ორგანიზაციისა და ეკონომიკის კათედრის გამგედ. 1994 წლიდან მიიწვიეს საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ინიციატივით ჩამოყალიბებულ სამედიცინო ინდუსტრიისა და სერვისის სახელმწიფო სააქციო საზოგადოება კომპანია „მედინსერვში“, გენერალური დირექტორის მოადგილედ, სიცოცხლის ბოლომდე ამ კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც იყო.

პროფესორ გურამ ცაგარეიშვილის მიერ წარმოებული ფუნდამენტური ხასიათის ექსპერიმენტული კვლევის შედეგები გამოქვეყნებულია როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე, უცხოეთის სამეცნიერო-ჟურნალებში 100-ზე მეტი სამეცნიერო სტატიის, 19 მონოგრაფიის და დამხმარე სახელმძღვანელოების სახით. მიღებული აქვს 14 საავტორო მოწმობა და პატენტი. მისი მონოგრაფია სამაგიდო წიგნია პოსტსაბჭოთა სივრცეში.

სხვადასხვა ქვეყნის უმაღლესი ფარმაცევტული სასწავლებლების წამალთა ტექნოლოგიის სასწავლო პროგრამებში შეტანილია მისი კონცეფციები დისპერსიული სამკურნალო პრეპარატების კლასიფიკაციის შესახებ, მალამოებში, სუპოზიტორიებში და სხვა წამლის ფორმებში სამკურნალო საშუალებების, მაღალმოლეკულური ნაერთების და დისპერსიული სისტემების გამოყენების, რბილი წამლის ფორმების შექმნის, ბიოფარმაცევტული, ფარმაკოკინეტიკური და ტექნოლოგიური ასპექტების შესახებ, სამკურნალო პრეპარატებიდან მოქმედი ნივთიერებების ბიოლოგიური შეღწევადობის ტექნოლოგიის, ფარმაციის თეორიული საფუძვლის – ბიოფარმაციის შესახებ და სხვა.

პროფესორი გურამ ცაგარეიშვილი 50-ზე მეტი ხნის განმავლობაში ეწეოდა სამეცნიერო, პედაგოგიურ, ორგანიზატორულ, პრაქტიკულ და საზოგადოებრივ საქმიანობას. იგი საქართველოში ბენტონიტური თიხის შემცველი პრეპარატების ბიოფარმაცევტული, ფარმაკოკინეტიკური და სტრუქტურულ-რეოლოგიური კვლევების ფუძემდებელი იყო და შრომათა ციკლისთვის – „საქართველოს ბენტონიტური თიხების გამოყენებით ახალი სამკურნალო პრეპარატების შექმნა“ – ავტორთა ჯგუფს, პროფესორ გურამ ცაგარეიშვილის ხელმძღვანელობით, 1999 წელს მიენიჭა აკადემიკოს ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის პრემია. ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო, პედაგოგიური და საორგანიზაციო საქმიანობისთვის დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით.

ბატონი გურამი არაერთი სამეცნიერო კონფერენციის, სიმპოზიუმის და კონგრესის მონაწილე და ორგანიზატორი გახლდათ, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ფარმაციაში მისი აქტიური მონაწილეობის გარეშე არ ჩატარებულა არცერთი ღონისძიება, საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაციის წევრს, ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს და თსსუ-ის სპეციალიზებული სადისერტაციო საბჭოს წევრს შეხვდებოდით ყველგან, სადაც მისი კომპეტენტური სიტყვა იყო საჭირო.

საქმიანობის ნებისმიერ უბანზე მისი მოღვაწეობის ძირითად მიზანს ყოველთვის წარმოადგენდა ადამიანებისთვის სიკეთის კეთება. ასეთი დარჩა ჩვენს მეხსიერებაში.

ადამიანებთან ურთიერთობის განსაკუთრებული ნიჭით იყო დაჯილდოებული. ჩვენი ქვეყნის ღირსეული მოქალაქე, მაღალი სულიერებით და სიკეთით სავსე, დინჯი და კოლორიტული საუბრით, თავშეკავებულობით და პიროვნული ხიბლით გამორჩეული პიროვნება სამაგალითო გახლდათ ახალგაზრდებისთვის, მაღალი მოქალაქეობრივი და საზოგადოებრივი თვითშეგნება განაპირობებდა მისდამი თანამშრომლების, მეგობრების და კოლეგების უდიდეს სიყვარულს და პატივისცემას.

წავიდა ჩვენგან დიდი ერუდიციის მეცნიერი და ორგანიზატორი, ღირსეული მოქალაქე, მაღალი სულიერების მქონე ინტელიგენტი, დარბაისელი ქართველი კაცი, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე, სიკეთეს და სითბოს თესავდა. წავიდა და დაგვიტოვა უსაზღვრო სევდა.

გურამ ცაგარეიშვილის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თანამშრომლების, მეგობრების და კოლეგების გულებში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, თსსუ–ის იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი

მშვიდობით, ბატონო ბორის...



უკიდურესად რთულია გამოსათხოვარი წერილის მიძღვნა ადამიანისადმი, რომელიც ასხივებდა სიცოცხლის სიყვარულს, სიკეთეს, ოპტიმიზმს, სიახლისადმი მზაობას და, ალბათ, ამიტომაც თითქოს ემიჯნებოდა ასაკს, ავადმყოფობას, პრობლემებს... თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს გამოაკლდა მისი გამორჩეული წევრი – ბორის კორსანტია, პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვლ.ბახუტაშვილის სახელობის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და იმუნორეაბილიტაციის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, საქართველოს ალერგოლოგიის და კლინიკური იმუნოლოგიის ასოციაციის გამგეობის წევრი, საქართველოს ექიმთა პოსტდიპლომური განათლების ასოციაციის დამფუძნებელი და ვიცე-პრეზიდენტი.

ბატონი ბორის კორსანტიას ღირსებათა და პროფესიულ დამსახურებათა დახასიათება ფერმკრთალდება იმ გამორჩეულ კეთილშობილებასა და ინტელექტთან, ბატონი ბორისი რომ ფლობდა და მართლაც რომ სიცოცხლის ბოლომდე უშურველად უზიარებდა საზოგადოებას.

პროფესორი ბორის კორსანტია დაიბადა 1942 წელს, ოჩამჩირეში. უმაღლესი სამედიცინო განათლების მიღებისთანავე, 1964 წლიდან, ბატონმა ბორისმა ცხოვრება და საქმიანობა დაუკავშირა ბიოსამედიცინო მეცნიერების ერთ-ერთ რთულ, სწრაფად განვითარებად სფეროს – ვირუსოლოგიას და იმუნოლოგიას; მას სხვა მიმართულებით არც უმოღვაწია; ამ სფეროში განვლო მან ხანგრძლივი და საინტერესო სამეცნიერო და პროფესიული კარიერა; კვლევითი საქმიანობის გარიჟრაჟზე რამდენიმე წელი ბორის კორსანტია სოხუმის ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის ინსტიტუტში მუშაობდა; შემდეგ იყო გ.ნათაძის სახელობის სანიტარიისა და ჰიგიენის ინსტიტუტის ეპიდემიოლოგიის განყოფილება (1969-1972), თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის (ამჟამად – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი) ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია (1972-1978); სწორედ ამ პერიოდში ჩამოყალიბდა ბორის კორსანტიას მჭიდრო კოლაბორაცია საქართველოში უმაღლესი სამედიცინო განათლების ამ უძველესი კერის მეცნიერებთან და ექიმებთან, რაც ბოლო დღემდე გრძელდებოდა; ამ ურთიერთობამ უამრავ საინტერესო კვლევით პროექტს ჩაუყარა საფუძველი. 1978-1991 წწ. პროფესორი ბორის კორსანტია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული მორფოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უძღვებოდა ინფექციური იმუნოლოგიის განყოფილებას; შემდეგ კი, დღემდე, იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი (ამჟამად – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვლ.ბახუტაშვილის სახელობის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი). ალბათ, ეს პერიოდი ყველაზე ნაყოფიერი და საინტერესო იყო ბატონი ბორისის პროფესიულ ბიოგრაფიაში: იმუნოლოგიის განყოფილების გამგე (1991-2000), დირექტორის მოადგილე (2000-2005), დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი (2005-2007), იმუნორეაბილიტაციის ლაბორატორიის გამგე (2007 წლიდან დღემდე). ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტში აკადემიკოს ვლადიმერ ბახუტაშვილთან, შემდეგ კი – მის მოსწავლეებთან ერთად ბორის კორსანტიამ რამდენიმე ათეული საერთაშორისო სამეცნიერო პროექტი განახორციელა, რაც სამუდამოდ დარჩა ქართული მეცნიერების ანალებში.

პროფესორ ბორის კორსანტიას კვლევითი ინტერესების დიაპაზონი საკმარისად ფართო იყო; ბოლო პერიოდში იგი, თანამოაზრეების გუნდთან ერთად, განსაკუთრებული ინტერესით და წარმატებით იკვლევდა ახალი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების იმუნოტროპულობას ექპერიმენტულ მოდელებზე, იმუნურ სტატუსს დამწვრობითი დაავადების დროს, სამამულო პრეპარატების (პლაფერონი, პლაფერონი-ლბ) და ბად-ების (ფენოვინი, კამელინი, ლაზოლექსი, მარგალი) იმუნოტროპულობას ბრონქული ასთმის, ქრონიკული პაროდონტიტის, ყბა-სახის ანთებითი პროცესების, ჰერპესის, ჰეპატიტების დროს, ბუნებრივი ცეოლიტების პროტექტორულ, ტოქსიკოლოგიურ და იმუნომორფოლოგიურ ასპექტებს; იგი აქტიურად მონაწილეობდა სამკურნალო-პროფილაქტიკური პრეპარატის _ Detox-Zeolim-ის შექმნაში, სწავლობდა მემბრანულ სტრუქტურებთან დაკავშირებული მაკრომოლეკულური კომპლექსების როლს გენეტიკური დაავადებების განვითარებაში.

ბატონი ბორისი ავტორია 300-მდე სამეცნიერო პუბლიკაციის, სამი მონოგრაფიის, რამდენიმე საავტორო მოწმობისა და მეთოდური რეკომენდაციის; მისი სამეცნიერო ნაშრომების დიდი ნაწილი გამოქვეყნებულია მაღალციტირებად საერთშორისო სამეცნიერო ჟურნალებში; მისი ხელმძღვანელობით რამდენიმე ათეული სადისერტაციო ნაშრომია შესრულებული და ყველა – პროგრესული, ახალი სიტყვა მეცნიერებაში და საინტერესო. ბორის კორსანტიას სამეცნიერო მემკვიდრეობა მკვლევარებისათვის კიდევ დიდხანს იქნება შთაგონების წყარო და სარწმუნო ორიენტირი სამეცნიერო იდეების რეალიზებასთან დაკავშირებულ ძიებაში.

აღსანიშნავია, რომ ბატონი ბორისი არამარტო თავად ავრცელებდა სამეცნიერო ცოდნას, არამედ მკვლევარებისათვის შექმნა პლატფორმა ინფორმაციის და იდეების გაზიარებისათვის; ეს კი მეცნიერების განვითარებისათვის მეტად მნიშვნელოვანია. შეუფასებელია ბატონი ბორისის როლი ჟურნალის „ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა“ გამოცემაში, რომლის მთავარი რედაქტორიც ბრძანდებოდა 2013 წლიდან. ექიმთა და ბიოსამედიცინო მეცნიერების სხვა წარმომადგენლებისათვის უაღრესად საინტერესო და პროდუქტიულია ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენციები, რომელიც 2011 წლიდან რეგულარულად ტარდება ბაკურიანსა და ჩაქვში; აქ მკვლევარები ეზიარებიან სამეცნიერო იდეებს, მათ გაცვლა-გამოცვლას, ისახება ახალი პროექტები.

პროფესორ ბორის კორსანტიას ახალგაზრდები უყვარდა და მეგობრობდა მათთან. იგი მისი მოსწავლეებისათვის იყო არა მარტო მენტორი, არამედ თანამოაზრე და ახლობელი. ბატონი ბორისის გარდაცვალებით გულნატკენია მრავალი სტუდენტი-მედიკოსი, ვინც მან აზიარა მიკრობიოლოგიის, ვირუსოლოგიის, იმუნოლოგიის და ალერგოლოგიის საფუძველებს.

ვირუსოლოგიის და იმუნოლოგიის განვითარების ვექტორი საქართველოში ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა იმ გუნდმა, რომლის ერთ-ერთი საყრდენი ბატონი ბორისი ბრძანდებოდა. და ბედის რა მწარე ირონიაა, რომ იგი თავად გახდა მძევალი ვირუსული პათოლოგიისა, რომლის პანდემიამ მაღალტექნოლოგიური 21-ე საუკუნე არა მარტო სერიოზული და ურთულესი სამედიცინო გამოწვევის, არამედ ფასეულობათა გადაფასების რეალობის წინაშე დააყენა.

ბატონი ბორისი ბრძანდებოდა კორექტული, მაგრამ, ამასთანავე, სრულიად პირუთვნელი მოპაექრე; საინტერესო მოსაუბრე; იგი რთულ და პრობლემურ საკითხებს წარმოაჩენდა მკაფიოდ, ნათლად და იქვე სახავდა საკითხის გადაჭრის გზებსაც. მისი ქმედებები იყო კონსტრუქციული, წინადადებები – საქმიანი, გეგმები – საინტერესო და შორს მიმავალი....

პროფესორ ბორის კორსანტიას კომპეტენტურობა, ინტელექტი, პროგრესულობა, ემპათიურობა, თავმდაბლობა, კოლეგიალობა, დიდთან თუ პატარასთან სიკეთით აღსავსე ადამიანური ურთიერთობის უბადლო უნარი, მეგობრობის ნიჭი სამაგალითო არის და მუდამ იქნება მისი მოსწავლეებისთვის, კოლეგებისთვის, მეგობრებისთვის, ახლობლებისთვის.

ბატონი ბორისის წასვლა შეუვსებელი დანაკლისია საქართველოს მეცნიერ-ბუნებისმეტყველთა ოჯახისათვის. მაგრამ ბორის კორსანტიას საქმეს შეწყვეტა არ ემუქრება.... მან აღზარდა მადლიერ და პატივისმცემელ მოსწავლეთა კოჰორტა; ბატონმა ბორისმა დატოვა მოყვარული და მისი წასვლით უკიდურესად გულნატკენი ღირსეული მეუღლე, საამაყო შვილები, შვილიშვილები, ახლობლები.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი გულისტკივილით ემშვიდობება პროფესორ ბორის კორსანტიას; მისი სახელი სამუდამოდ აღიბეჭდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საუკუნოვანი ისტორიის ფურცლებზე.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

კიდევ ერთი აღიარება

COVID-19-ით გამოწვეულმა პანდემიამ სრულად მოიცვა ჩვენი ცხოვრება და პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური საქმიანობის შემაფერხებელ ფაქტორად იქცა. იგი მტკივნეულად შეეხო კულტურის სფეროსაც: ჩაიშალა კონცერტები, ფესტივალები, დაცარიელდა სცენები... თუმცა პანდემია გვაიძულებს ვისწავლოთ მასთან ერთად ცხოვრება და მოვერგოთ ახალ რეალობას საგანგებო მდგომარეობის პირობებში.

სახელოვნებო სივრცეში კრიზისული პერიოდის დასაძლევად ძალისხმევას არ იშურებენ კულტურის მესვეურები, რომელთა ორგანიზებითაც მასშტაბური ფესტივალები ყოველწლიურად ტარდებოდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. მათ არც ასეთ რთულ პერიოდში უღალატეს ტრადიციას და, ამჯერად უკვე ონლაინრეჟიმში, უზრუნველყვეს ფოლკლორული ფესტივალების ჩატარება.

განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ სხვადასხვა ქვეყანაში – ინგლისში, ჩეხეთში, ბულგარეთსა და იტალიაში – საგანგებო რეჟიმში ჩატარებულ ფესტივალებზე დიდი მოწონება დაიმსახურა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კულტურის ცენტრთან არსებულმა სიმღერის და ცეკვის სახალხო ანსამბლმა – ინგლისიდან და ბულგარეთიდან გამოგზავნილი სერტიფიკატი და დიპლომი ანსამბლის მაღალ დონეზე შეფასების დასტურია.

ანსამბლმა, რომლის წარმატებებსაც მივეჩვიეთ საერთაშორისო ასპარეზზე, ამჯერად განსხვავებულ რეჟიმში მიაღწია აღიარებას. გავესაუბრეთ უნივერსიტეტის კულტურის ცენტრთან არსებული სიმღერის და ცეკვის სახალხო ანსამბლის ხელმძღვანელს, კულტურის ცენტრის დირექტორს, ბატონ **ბადრი მაჭავარიანს,** რომელმაც აღნიშნა:

„უცხოეთის ქვეყნების ფესტივალების ორგანიზატორებს ადრეც ნანახი ჰქონდათ ჩვენი კონცერტები თუ სარეკლამო ვიდეორგოლები და კარგად იცნობდნენ ჩვენს შემოქმედებას. ამჯერად მათ ონლაინრეჟიმში ჩატარებულ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად მიგვიწვიეს. შემოთავაზების შემდეგ გავგზავნეთ ათწუთიანი ვიდეომასალა სხვადასხვა საკონცერტო ნომრით, რომელიც მოამზადა კულტურის ცენტრის უფროსმა სპეციალისტმა მარიამ მაჭავარიანმა. საამაყოა იმის გაცნობიერება, რომ ჩვენი ანსამბლის შემოქმედების ამსახველი ვიდეომასალა ბევრ ქვეყანაში გავრცელდა, მაღალი შეფასება დაიმსახურა და უცხოელი მაყურებელი კიდევ ერთხელ აზიარა ჩვენს მდიდარ ფოლკლორულ მემკვიდრეობას, რომელიც მას ყოველთვის აღაფრთოვანებდა.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, პირადად, რექტორს, პროფესორ **ზურაბ ვადაჭკორიას** და კანცლერს, პროფესორ **ზურაბ ორჯონიკიძეს**, რომელთა თანადგომასაც ანსამბლი ყოველთვის გრძნობს. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის დამსახურებაა ახალი რეკვიზიტების შეძენა ანსამბლისთვის. იმედი გვაქვს, როგორც კი შემოქმედებითი ცხოვრება ჩვეულ რიტმს დაუბრუნდება, ახალი პროგრამით სწორედ ამ უნიკალური სამოსით წარდგებიან ანსამბლის წევრები პუბლიკის წინაშე ჯერ უნივერსიტეტის, შემდეგ – საქართველოსა თუ სხვა ქვეყნების სცენებზე.“

ანსამბლის ხელმძღვანელი მომავლის გეგმებზეც გვესაუბრა და აღნიშნა, რომ ანსამბლმა იუნესკოს ეგიდით გამართულ ფესტივალებში მონაწილეობის მისაღებად უკვე არაერთი შემოთავაზება მიიღო ინგლისიდან, ესპანეთიდან, პორტუგალიიდან, ჩეხეთიდან... მანამდე კი მოუთმენლად ელიან შეხვედრას ქართველ მაყურებელთან – ყველა ჯილდოზე უპირატესი ხომ ის განსაკუთრებული ემოცია და სიყვარულია, ანსამბლს და მაყურებელს შორის ცოცხალ კონტაქტს რომ ახლავს...

კიდევ ერთ წარმატებას და დამდეგ შობა-ახალ წელს ვულოცავთ თსსუ-ის ანსამბლს – ვისურვებდით, 2021 წელი პანდემიის რეჟიმში მომწყვდეული რუტინული ყოველდღიურობის დასრულების და ყველა სფეროში აღმავლობის წლად იქცეს.

ნატო ბოლქვაძე

„სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია ვაჟა-ფშაველას გამზირი №33, ოთახი №600, ტ.: 254-24-64
რედაქტორი **ლელა მუკბანიანი**
კორესპონდენტები: **მანანა ფხალაძე** ტ.:555 29 98 27 **დარეჯან კომლაძე** ტ.:558 17 08 47 **ნატო ბოლქვაძე** ტ.:555 28 28 97
ელ-ფოსტა newspaper@tsmu.edu